ოქმი:**ო05.37221101**

თარიღი:**20/04/2022**

ოქმი №7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 19 აპრილი

ქ.ოზურგეთი

10.00-11.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ე. გორდელაძე, ხ. ცერცვაძე, გ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ლ. ბიგვავა, ბ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ პ.კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები. შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ამ დადგენილებების პროექტები ცნობილია საკრებულოს წევრებისათვის, განხილულია საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში, ამ კომისიის პრეროგატივაა განსაკუთრებული ყურადღებით განიხილოს ისინი და მოამზადოს დასკვნები რამდენად შეესაბამებიან ისინი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს.

კომისიის წევრმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ პროექტებზე ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში საკრებულოს აპარატში შენიშვნები და წინადადებები არ შემოსულა, ისინი სრულად პასუხობენ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს, არსებულ ტექნიკურ ხარვეზებს პროექტების ავტორები საკრებულოს ბიუროს სხდომამდე გაასწორებენ. კომისიის წევრებმა სათითაოდ უყარეს კენჭი დადგენილებების პროექტებს.

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული კომისიის სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი ათივე საკითხის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი